საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

ანა კოტეტიშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ო. შ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 25.08.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 069/22

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ მ. ა.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ა.-სთვის ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1 2022 წლის 25 აგვისტოს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ო. შ.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. ა.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი მ. ა. იყო ო. შ.-ის წარმომადგენელი სამოქალაქო საქმეზე, რომელიც ეხებოდა უძრავი ქონების საკუთრების უფლების დამდგენი მოწმობის მიღებას. ადვოკატი ცდილობდა აღნიშნული საქმე

გაჭიანურებულიყო, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ ადვოკატმა მ. ა.-მ მოპასუხე მ. შ.-ის პირადობის მოწმობის ნომერი არასწორად მიუთითა 2022 წლის 5 ივლისს ფოთის მერიაში წარდგენილ განცხადებაში, კერძოდ, ადვოკატმა 11 ციფრის ნაცვლად მიუთითა 10 ციფრი. ასევე, 2019 წლის 8 ოქტომბრის ფოთის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაში და 2021 წლის 13 აპრილის ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებაშიც არასწორადაა მითითებული მ. შ.-ის პირადი მონაცემები.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მ. ა.-მ უძრავი ქონების საკუთრების უფლების დამდგენი მოწმობის მიღებასთან დაკავშირებულ სამოქალაქო საქმეზე არ აიღო სააღსრულებო ფურცელი იმ მიზეზით, რომ საქმე ხარვეზის გამო ფოთის საქალაქო სასამართლოდან გაიგზავნა უზენაეს სასამართლოში და სააღსრულებლო ფურცლის გაცემაზე ო. შ.-ს ეთქვა უარი. ო. შ.-ის პოზიციით, აღნიშნული გარემოება იწვევს ეჭვს და უნდობლობას ადვოკატ მ. ა.-ის მიმართ.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მ. ა. საქმის წარმოების დროს მოქმედებდა კლიენტთან შეუთანხმებლად და თვითნებურად, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ ადვოკატს ფოთის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, შესაბამისი ბეჭდის გარეშე ჰქონდა შენახული თავის ოფისში.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ადვოკატს მინდობილობა გაუფორმა განუსაზღვრელი ვადით, თუმცა ადვოკატი მ. ა. 2022 წლის 20 ივნისის შემდეგ აღარ ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და თვითნებურად, ახსნა-განმარტების გარეშე შეწყვიტა კლიენტთან ურთიერთობა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2022 წლის 5 აგვისტოს მან განცხადებით მიმართა ადვოკატ მ. ა.-ს, რათა მისთვის გადაეცა საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება და თანხის გადახდის ქვითარი, თუმცა ადვოკატს არცერთი მათგანი არ გადაუცია.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მ. ა.-მ 2022 წლის 12 სექტემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც განმარტა, რომ ო. შ.-ის საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.2 ადვოკატის განმარტებით, 2018 წლის 7 სექტემბერს ის და ო. შ. ზეპირად შეთანხმდნენ ადვოკატ - კლიენტის ურთიერთობის დაწყებაზე. ადვოკატ მ. ა.-ს ო. შ.-სათვის საადვოკატო მომსახურება უნდა გაეწია უძრავი ქონების საკუთრების უფლების დამდგენი მოწმობის მიღებასთან დაკავშირებულ სამოქალაქო საქმეზე. 2018 წლის 7 დეკემბერს გაიცა მინდობილობა ადვოკატ მ. ა.-ის მიმართ, რომელიც შედგენილი იყო განუსაზღვრელი ვადით, რადგან საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე წინასწარ ვერ განისაზღვრებოდა საქმის წარმოებისთვის საჭირო, კონკრეტული ვადის განსაზღვრა, რის გამოც მხარეები შეთნხმდნენ, რომ მინდობილობა გაუქმდებოდა ზეპირი შეთანხმების დასრულების

შემდეგ. მას შემდეგ რაც აღნიშნული სამოქალაქო დავა დასრულდა ო. შ.-ის სასარგებლოდ, ადვოკატმა მ. ა.-მ კლიენტს მოსთხოვა 2018 წლის 7 დეკემბერს გაცემული რწმუნებულების გაუქმება.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ო. შ.-სთან დადებული, ზეპირსიტყვიერი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მან გაატარა ყველა საჭირო ღონისძიება, კერძოდ, ადვოკატმა მ. ა.-მ 2019 წლის 8 იანვარს სარჩელით მიმართა ფოთის საქალაქო სასამართლოს; სააპელაციო და საკასაციო წესით გასაჩივრების შემდგედ ადვოკატმა შეიტანა შესაგებელი ორივე ინსტანციის სასამართლოში; არაერთხელ მიმართა ფოთის საქალაქო სასამართლოს სააღსრულებლო ფურცლის მისაღებად, რომელიც ჩაბარდა ო. შ.-ს. შესაბმისად, იმის გათვალისიწინებით, რომ ადვოკატი კანონით დადგენილი ვადების დაცვით აწარმოებდა საქმეს, ადგილი არ ჰქონია ადვოკატ მ. ა.-ის მხრიდან ო. შ.-ის უძრავ ქონებასთან დაკავშირებით არსებულ სამოქალაქო საქმეზე პროცესის გაჭიანურებას.

2.4 ადვოკატის განმარტებით, ის მოქმედებდა კლიენტთან შეთანხმებით და კლიენტი ინფორმირებული იყო საქმის წარმოების ყველა დეტალზე. ო. შ.-ის თხოვნის შესაბამისად, ადვოკატმა მას გასაცნობად გადასცა თავისი საქმის მასალები, რომელთა გაცნობის შემდეგაც ო. შ.-მ განაცხადა, რომ ადვოკატმა შეუცვალა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რადგან მასში იყო ჩამატებები, თუმცა აღნიშნული წარმოადგენს სხვა, მსგავს სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებულ გარემოებებს რაზედაც მითითება ადვოკატს ეხმარებოდა საქმის წარმოების პროცესში.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ო. შ.-სთვის გაწეული საადვოკატო მომსახურების ფარგლებში მას აქვს გაწეული სამართლებრივი მომსახურებისთის მიღებული ფულადი ანაზღაურების დეტალური აღწერა. შესაბამისად, კლიენტის მომართვის შემთხვევაში ადვოკატს შეუძლია გაწეული ხარჯების დადასტურება.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. ა. არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სამოქალაქო სამართალი.

3.2 ო. შ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2022 წლის 25 აგვისტოს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018-2020 წლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. ა.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და

დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საპროცესო კოლეგიამ საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატი ცდილობდა სასამართლოში საქმის გაჭიანურებას; ფოთის მერიაში წარდგენილ განცხადებაში შეგნებულად მიუთითა მოპასუხე მხარის პირადი მონაცემები შეცდომით და ამავე მიზნით ადვოკატმა არ აიღო სააღსრულებლო ფურცელი, იმსჯელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა'' ქვეპუნქტისა და ადვოკატთა ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს, კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს კლიენტის წარმომადგენლობა და შეასრულოს პროფესიული ფუნქციები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა), ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი“, მუხლი 8.5).

5.2 ადვოკატმა თავისი საქმიანობა უნდა განახორციელოს კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად, რაც გულისხმობს იმ ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებას, რომლებიც მან, როგორც ადვოკატმა, აიღო კლიენტთან შეთანხმებით, მისი საქმის საწარმოებლად.

5.3 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობა წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობას, ხოლო სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერად, სხვისთვის ზიანის მიყენების გარეშე. საპროცესო კოლეგია იზიარებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს პოზიციას (საქმე №ას-1338-1376-2014), რომ „ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრიციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ურთიერთობის სხვა მონაწილის ინტერესების პატივისცემას, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გათავისებას, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მას კონკრეტული პირდაპირი ვალდებულება არ ეკისრება.“

5.4 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ კვალიფიციურობა გულისხმობს ადვოკატის მიერ პროფესიული ცოდნის; გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების კლიენტის საუკეთესო ინტერესების სასარგებლოდ გამოყენებას; სამართლებრივი ნორმების ზედმიწევნით ცოდნასა და კლიენტის კანონმდებლობის შესაბამისად წარმომადგენლობას, როგორც სასამართლოში, ისე სხვა ადმინისტრაციულ თუ სახელმწიფო ორგანოებთან და სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში.

5.5 ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისთვის ეთიკის კომისია შეთანხმდა დისციპლინური წარმოების პროცესში ადვოკატის მიერ გაწეული მომსახურების კვალიფიციურობის შემოწმების ფარგლებზე და მიიჩნია, რომ მომსახურება კვალიფიციურობის სტანდარტს აკმაყოფილებს თუ დაცულია შემდეგი პირობები:

- ადვოკატი ახორციელებს მომსახურებას სპეციალიზაციის ფარგლებში;
- ადვოკატს სტრატეგია შეთანხმებული აქვს კლიენტთან და მოქმედებს მისი კანონიერი/ეთიკური მითითებების ფარგლებში;
- ადვოკატი ორიენტირებულია კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგიით დაიცვას მისი საუკეთესო ინტერესები და მისი მომსახურება არ არის ფორმალური ხასიათის;
- ადვოკატის პოზიცია ქმნის დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომ მან მიიღო გონივრული ზომები კლიენტის საქმეში გასარკვევად და მის დასაცავად.

5.6 მხარეთა მიერ წარმოდგენილი პოზიციებითა და მტკიცებულებებით ირკვევა, რომ ადვოკატი მ. ა. ო. შ.-ს უწევდა საადვოკატო მომსახურებას სამოქალაქო საქმეზე. ადვოკატმა აღნიშნულ საქმეზე განახორციელა მთელი რიგი საპროცესო მოქმედებები: 2018 წლის 9 იანვარს სარჩელით მიმართა ფოთის საქალაქო სასამართლოს, რომელიც ეხებოდა უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ დავას, აღნიშნული საქმე დასრულდა ო. შ.-ის სასარგებლოდ, ხოლო მოპასუხე მხარემ გადაწყვეტილება გაასაჩივრა ჯერ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში და შემდეგ საქართველოს უზენაეს სასამართლოში. მოწინააღმდეგე მხარის მიერ სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ, ადვოკატმა მ. ა.-მ ორივე ინსტანციაში წარადგინა შესაგებელი; ფოთის საქალაქო სასამართლოს ორჯერ, 2022 წლის 10 და 23 მაისს, მიმართა სააღსრულებლო ფურცლის გაცემის მოთხოვნით; კლიენტის ინტერესების დაცვის მიზნით, 2022 წლის 5 ივლისს განცხადებით მიმართა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიასაც, რათა მომხდარიყო იძულების წესით ო. შ.-ის სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტის გაცემა. ო. შ.-სათვის საადვოკატო მომსახურების გაწევისას ადვოკატი მ. ა. მოქმედებდა სპეციალიზაციის ფარგლებში; სტრატეგია შეთანხმებული ჰქონდა კლიენტთან და მოქმედებდა კანონის ნორმათა დაცვით; ადვოკატის მიერ განხორციელებული სამართლებრივი მოქმედებები არ იყო ფორმალური ხასიათის და მიმართული იყო კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად. შესაბამისად, აღნიშნული გარემოებები მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ადვოკატი მ. ა. საადვოკატო მომსახურებას ასრულებდა კეთილსინდისიერად და კვალიფიციურად, მის მიერ დარღვეული არ არის საპროცესო დოკუმენტაციის წარდგენისთვის კანონით განსაზღვრული ვადები და საადვოკატო მომსახურების ფარგლებში შესრულებულია ყველა საჭირო ღონისძიება აღნიშნული საადვოკატო მომსახურების შეთანხმების ფარგლებში.

5.7 საპროცესო კოლეგიის პოზიციით, არ არსებობს რაიმე მტკიცებულება ან არგუმენტაცია რაც დაადასტურებს ადვოკატ მ. ა.-ის მიერ ო. შ.-ის უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სამოქალაქო საქმის გაჭინურებას. რაც შეეხება იმ ფაქტს, რომ ადვოკატის მიერ არასწორად იქნა მითითებული მოპასუხე მხარის - მ. შ.-ის პირადი ნომერი, აღნიშნული წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს ტექნიკური მოწყობილობის გაუმართაობით და არ აკნინებს ადვოკატის პროფესიონალიზმს, სამართლებრივ ცოდნასა და კვალიფიკაციას. დისციპლინურ საქმეში მითითებულ ტექნიკურ ხარვეზს კლიენტის ინტერესებისათვის ზიანი არ მიუყენებია. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მხარეს ყოველთვის აქვს უფლება სასამართლოს მიმართოს უსწორობის გასწორების მოთხოვნით, რის საფუძველზეც ცვლილება შედის სასამართლო გადაწყვეტილებაში. როგორც წესი, მსგავსი სახის ტექნიკური ხარვეზი მარტივი გამოსასწორებელია და მხარის ინტერესზე გავლენას ვერ ახდენს. გამომდინარე აქედან, საპროცესო კოლეგიის შეფასებით, ადვოკატის ქმედება არ არღვევს პროფესიული ეთიკის სტანდარტებს.

5.8 საპროცესო კოლეგიამ საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა კლიენტთან შეთანხმებისა და ახსნა - განმარტებების გარეშე შეწყვიტა საადვოკატო მომსახურების გაწევა, იმსჯელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-7 ნაწილის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„ადვოკატმა არ უნდა ისარგებლოს საქმეზე უარის თქმის უფლებით ისეთ გარემოებებში, როდესაც კლიენტი უძლური იქნება დროულად ისარგებლოს სხვა ადვოკატის იურიდიული დახმარებით, კლიენტისათვის ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით“.

5.9 კოლეგია განმარტავს, რომ მხარეები სადავოდ არ ხდიან, რომ ო. შ.-ის მიერ ადვოკატ მ. ა.-ის მიმართ გაცემულია უვადო მინდობილობა, თუმცა მინდობილობის უვადოდ გაცემა არ გულისხმობს კლიენტისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევას განუსაზღვრელი ვადით. ადვოკატი მ. ა. და ო. შ. ზეპირად შეთანხმდნენ საადვოკატო მომსახურებაზე. შეთანხმება გულისხმობდა სამოქალაქო საქმის წარმოებას ო. შ.-ის უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ დავაზე, რომელიც ადვოკატის ჩართულობის შედეგად დასრულდა ო. შ.-ის სასარგებლოდ ფოთის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. შესაბამისად, ადვოკატს აღნიშნული დავის დასრულების შემდეგ საადვოკატო მომსახურების გაწევის ვალდებულება არ ჰქონია. იმის გათვალისწინებით, რომ მხარეებს შორის არ ყოფილა რაიმე სახის დამატებითი შეთანხმება სამართლებრივი მომსახურების გაწევის თაობაზე. ადვოკატს არც დამატებით მიუღია ანაზღაურება ო. შ.-ისაგან. საჩივრის ავტორის პრეტენზია ამ ნაწილში დაუსაბუთებელია, რადგან ადვოკატმა შეასრულა ყველა ის ვალდებულება რაც ზეპირი შეთნხმების საგანს წარმაოდგენდა. ამდენად, მინდობილობის განუსაზღვრელი ვადით გაცემა ადვოკატს არ ავალდებულებს კლიენტისთვის ამავე ვადით მომსახურების გაწევას. შესაბამისად, მინდობილობის ვადის

ამოწურვამდე ადვოკატის მიერ კლიენტთან ურთიერთობის დასრულება არ ჩაითვლება პროფესიული ეთიკის სტანდარტის დარღვევად.

5.10 საპროცესო კოლეგიამ საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა მას არ გადასცა მომსახურების საფასურის გადახდის ქვითრები და მათ შორის დადებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, იმსჯელა ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

„კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“.

5.11 ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობას. სამოქალაქო სამართლებრივი შეთანხმება/გარიგება საქართველოს სამოქალაქო კოექსის 69-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობითი ფორმით. მოცემული ნორმა განამტკიცებს გარიგების ფორმის თავისუფლების პრინციპს, რაც გარიგების მონაწილეებს ანიჭებს თავისუფლებას, მათი ნების შესაბამისად შეარჩიონ გარიგების ფორმა. მოცემულ შემთხვევაში მხარეთა მიერ სამართლებრივი შედეგის მიღწევის განზრახვით განხორციელებული ნებელობითი და მართლზომიერი აქტი წარმოადგენს ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგს, რაც კანონის ნორმის დაცვით, მხარეთა ნების შესაბამისად მიმართულია კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის - ამ შემთხვევაში ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობისაკენ. გამომდინარე აქედან, კოლეგიის შეფასებითა და მხარეთა ახსნა-განმარტების საფუძელზე დგინდება, რომ ადვოკატ მ. ა.-სა და ო. შ.-ს შორის შეთანხმება შედგა ზეპირი ფორმით, შესაბამისად საჩივრის ავტორს ვერ ექნება ხელშეკრულების დაბრუნებაზე პრეტენზია.

5.12 საპროცესო კოლეგია ადვოკატ მ. ა.-ს საყურადღებოდ განმარტავს, რომ მართალია, კანონი ითვალისწინებს საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით გაფორმებას, მაგრამ უმჯობესია, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყებისას, ყოველთვის გაფორმდეს წერილობითი ხელშეკრულება, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი ხელშეკრულების არსებითი პირობები და წარმოადგენს მნიშვნელოვან სამართლებრივ ბერკეტს, რაც კლიენტის მიერ ადვოკატის მიმართ პრეტენზიის წარდგენის შემთხვევაში, ადვოკატს დაეხმარება საკუთარი პოზიციის დასაბუთებაში. ამასთან, ხელშეკრულების წერილობითი ფორმით გაფორმება არის პრევენციული ღონისძიება მომავალში კლიენტის პრეტენზიებისგან თავის დასაცავად.

5.13 საჩივრის ავტორის პრეტენზია მომსახურების საფასურის გადახდის ქვითრების დაბრუნებასთან დაკავშირებით საპროცესო კოლეგიის მიერ არ შეფასდა პროფესიული

ეთიკის ნორმის დარღვევად, რადგან ო. შ.-ს ადვოკატისგან აღნიშნული ქვითრების გადაცემა არ მოუთხოვია, ხოლო ადვოკატი აცხადებს მზაობას მოთხოვნის შემთხვევაში კლიენტს გადასცეს საადვოკატო მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები.

5.14 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 30.1, 40.1 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №069/22 ადვოკატ მ. ა.-ის /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/